ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დღის შუქი, არ გაიცვლების სხვაზედა.

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
4
ივლისი
№79 (10472)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### ქ. ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

გამოცხადდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე 1991 წლის 28 ივნისის 22 საათიდან ორი თვის ვადით.

კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22-დან 7 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 28 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

2. კანონის პროექტი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 28 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 28 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 28 ივნისი.

## გადაწყვეტილება

ზუგდიდის საკრებულოს სამდივნომ გადაწყვიტა კოლხეთის ქუჩას (ყოფილი ლენინის ქუჩა) მიეკუთვნოს კონსტანტინე გამსახურდიას სახელი, კეცხოველის ქუჩას—ღვთისმშობლის სახელი.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის

## განკარგულება

### ჩაის მოსავლის აღების მიმდინარეობის შესახებ

ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის მოსავლის აღების საქმეში შექმნილია საგანგაშო მდგომარეობა. ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში უგულებელყოფილია პლანტაციების მოვლა-დამუშავება, შეუწყნარებლად დაბალ დონეზეა შრომის ორგანიზაცია. საიჯარო ურთიერთობას ფაქტიურად არავითარი ეფექტი არა აქვს და ფორმალურია. ნედლეულის კრეფის ტემპი ძალზე დაბალია, რის გამოც დღეისათვის პლანტაციების დიდ ნაწილში პირველი ვეგეტაციის მოსავლის აღებაც არ არის დამთავრებული. რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება 5,0 პროცენტით. გაუარესდა ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. იქმნება იმის შთაბეჭდილება, თითქოს და დასახელებულ პუნქტებში ორგანიზებულ საზოგადოებრივ ეწევიან კეთილსინდისიერი შრომის ნაცვლად.

ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის მოსავლის უდანაკარგოდ აღების უზრუნველყოფის მიზნით:

1. ჩაის პლანტაციების მოვლა დამუშავებისა და მოსავლის აღების საქმეში დაუდევრობა ჩაითვალოს დარგში დასაქმებული მუშაკების მხრიდან საგანგაშოდ, რომელიც ზიანს აყენებს საქართველოს დამოუკიდებლობის ინტერესებს, სასწრაფოდ გამოვლენილ იქნას დამნაშავე პირები და გადახდეს მათ მიყენებული ზარალი არსებული წესის მიხედვით. ამასთან საჭიროების შემთხვევაში მთლიანად ჩამოერთვას მათ გაპიროვნებული ფართობები და გადაეცეს მოსავლელად სხვა პირებს, ან კიდევ ჩაირიცხოს საერთო საზოგადოებრივ ფონდში.

2. 5 ივლისისათვის განკარგულება განხილულ იქნას რაიონისა და ქალაქის ყველა საკრებულოს სესიაზე და საზოგადოებრივ მეურნეობათა საერთო (რწმუნებულთა) კრებებზე საჭირო ზომების მისაღებად.

ამასთან ეთხოვოს ქალაქის საკრებულოს: წარმოადგინოს წინადადებანი ქალაქის ტერიტორიაზე დისლოცირებული წარმოება-ორგანიზაციების მუშა-ხელის ჩაის ნედლეულის კრეფაზე შესაძლო გამოყენების შესახებ.

3. მოეთხოვოს პერსონალური პასუხისმგებლობა სოფლის საკრებულოთა გამგებლებსა და საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს მეჩაიეობაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მათვე არსებული ჩამორჩენილობის დასაძლევად გატარებული ღონისძიების შესახებ მოახსენონ პრეფექტურას 15 ივლისისათვის.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი თ. ქორქოლიანი

1991 წლის 2 ივლისი

ინფორმაცია

## საკრებულოს პირველ სესიებზე

როგორც ვიუწყებოდით მიმდინარეობს ზუგდიდის რაიონის სოფლების პირველი მოწვევის საკრებულოების პირველი სესიები, სადაც იხილება ორგანიზაციული საკითხები, ირჩევენ გამგებელს, მდივანს, მის მოადგილეს. გამგებლად და მდივნებად არჩეული არიან:

სოფელ ყულიშკარში: გამგებლად ნოდარ როგავა, მდივნად გურამ ქარდავა.

სოფელ ოდიშში: გამგებლად ზაურ ახალაია, მდივნად ზური ფაცურია.

ახალსოფელში: გამგებლად ფრიდონ ქადარია, მდივნად გივი ქოჩუა.

სოფელ რუხში: გამგებლად ალიკო თოდუა, მდივნად: ელგუჯა ნანეიშვილი.

სოფელ ჩხორიაში გამგებლად რაფიელ ჩხეტია, მდივნად ალიკო ჭითანავა.

სოფელ ორულში: გამგებლად თამაზ პერტაია, მდივნად მ. წურწუმია.

## ლექციები საინტერესო საკითხებზე

ჩვენი ქალაქისა და რაიონის საწარმოთა შრომითი კოლექტივების ხშირი სტუმრები არიან ჩამოსული თუ ადგილობრივი ლექტორები. მათი ლექციების თემაა მიმდინარე პოლიტიკის, საბაზრო ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის მართვის, ლიტერატურისა თუ ხელოვნების საკითხები.

ახლახან ზუგდიდს ესტუმრა ჩვენი თანამემამულე, ი. ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. ჩიქავა. მან პურპროდუქტების კომბინატში, ვაჭრობის სამმართველოსა და სარემონტო მექანიკურ კომბინატში წაიკითხა ლექცია საბაზრო ეკონომიკის საკითხებზე.

ზემოთხსენებული საზოგადოების ლექტორმა ი. კატუკიამ ჩაის კომბინატ „ოდიშისა“ და № 12 სამშენებლო ტრესტის მუშა-მოსამსახურეთათვის წაიკითხა ლექცია ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

## გიწვევთ ჯიხაშკარში

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო გაერთიანების ზუგდიდის განყოფილების ინიციატივით 6 ივლისს ეწყობა სახალხო ზეიმი სოფელ ჯიხაშკარში.

ზეიმის მსვლელობისას მოხდება გორგასლიან-დავითიან-თამარიანი დროშის კურთხევა დადიანების კარის ეკლესიაში და შემდეგ აღიმართება სოფელ ჯიხაშკარის ციხე-სიმაგრე ჯიხაზე.

პატივცემულო ზუგდიდელებო, გთხოვთ მობრძანდეთ და აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ზეიმის მსვლელობაში.

ზუგდიდის ავტოსადგურიდან ჯიხაშკარის მიმართულებით მომსახურებათ ავტობუსები.

ბიბლიოთეკა

სკოლა, მოსწავლე პრობლემები...

# „ისე აღზარდოს მან შვილის სული"...

ეს სასწავლო წელიც მიიწურა, წელი ძნელი, მაგრამ იმედიანი. ბევრი რამ დაგროვდა სკოლებშიც ისეთი, რისი თქმაც და გაკეთებაც ვერ მოხერხდა. არადა პედაგოგებსაც, ფართო საზოგადოებრიობასაც ხშირად გვებადება მტკივნეული შეკითხვები, რომლებიც პასუხს ითხოვენ. ამგვარი საკითხების ურთიერთგაზიარების მიზნით ვეწვიეთ ქალაქის საშუალო სკოლა-ინტერნატს, მოვუსმინეთ პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს. აი მათი გულისტკივილიც:

ნინო ავალიანი, ფილოლოგი სკოლა ინტერნატის დირექტორი: ყოველდღიურად რომ ვაწყდები პრობლემებს, ვგრძნობ, გულდანდობით სკოლაზე არავის უფიქრია. თუმცა, საბედნიეროდ, იმედის მომცემი ძვრები შეიმჩნევა. კერძოდ, წელს პირველად ტარდება სკოლებში უფროსკლასელთა საკონკურსო გამოცდები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე-10 მე-11 კლასებში ისწავლიან მხოლოდ და მხოლოდ სწავლის მსურველნი.

ჩემი აზრით, საყოველთაო საშუალო განათლების აუცილებლობამ წარმოშვა რეპეტიტორობა და სხვა უფრო მანკიერი მოვლენები.

ლეილა ხუფენია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: სწავლების რეფორმა განათლების სამინისტროდან კი არა, თვით სკოლებიდან უნდა დაიწყოს და დაიწყოს უპირველესად მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევით.

ვერტერ აქუბარდია, სასწავლო ნაწილის გამგე, ისტორიის მასწავლებელი: საშუალო სკოლის პროგრამები ისეა აგებული, თითქოს მოსწავლეს ყველაფრის ცოდნა ეძლეოდეს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი ეს ცოდნა არაფრის მომტანია, რადგან ყველა საგანი ზედაპირულად ისწავლება. სასიამოვნო და სასურველი ბოლო პერიოდის სკოლაში ის იყო რომ პროგრამებიდან ამოვიღეთ სხვათა ქვეყნების ისტორია და დავიწყეთ მშობლიური ქვეყნის წარსულის სწავლება.

ეთერ შელია, მშობელი: ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია, პირველ რიგში ის, რომ აკვნიდანვე ჩავუნერგოთ შვილებს სათნოება, მოყვასისადმი სიყვარული გზა შევუკრათ მათში შურის, სიხარბის, სისასტიკის გრძნობას. ჩვენს შვილებს უნდა შეეძლოთ მოთმინებაც, შენდობაც, გატანაც. ადამიანი არც მკვლელად იბადება და არც ქურდად. რაღაც აბოროტებს მას შემდგომში, რაც სიყრმიდანვე ყალიბდება. ამიტომ ოჯახმა და სკოლამ ისეთი მიკრო გარემო უნდა შევქმნათ, რომ იგი გონიერი, გაწონასწორებული სიყვარულით იზრდებოდეს და არა რაღაც უპირატესობის, ყოვლის პატიების გრძნობით. ამასთან დედებს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ შვილის სწორად აღზრდა ბედნიერი სიბერეა, ხოლო უხეიროდ—ჩვენი მომავალი მწუხარება, ცრემლები, განუზომელი დანაშაული ქვეყნის წინაშე.

დარეჯან ქარდავა, მე-11 კლასის მოსწავლე: ადრე სკოლაში ბევრი რამ იყო ფორმალური, მოვიგონოთ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, ათასგვარი უმიზნო წრეები, გვასწავლიდნენ ბევრ ისეთ საგანს, რომელიც არასოდეს არ დაგვჭირდება, მაშინ როდესაც არაფერს გვეუბნებოდნენ რწმენის, სიყვარულის, მოწყალებისა და სხვა ჰუმანურ ღირებულებათა შესახებ.

დოდო ადეიშვილი, პედაგოგი, პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე: საჭიროდ და აუცილებლად მიმაჩნია, შეიქმნას ისეთი კომისია, რომელიც შეიმუშავებს სამუშაო პროგრამას და შეადგენს წიგნების სერიალს ბავშვების აღზრდაზე სკოლასა და ოჯახში. ყოველნაირად უნდა ვეცადოთ ბავშვები თავიდან მივაჩვიოთ დამოუკიდებელ ფიქრს, აზროვნებას და ცხოვრებას, თორემ რა ხდება, დღევანდელი სკოლადამთავრებული გოგო-ბიჭები დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოუმზადებლები არიან და პირველი სიძნელეებიდანვე საოცარ უსუსურობას ამჟღავნებენ.

ანელა ბერბედავა, დაწყებითი კლასების მასწავლებელი: დღევანდელი პედაგოგი არსებულ სასწავლო სისტემაში უმოქმედოა, მას აძლევენ შეზღუდულ პროგრამას. ე. ი. აპროგრამებენ და როგორც რობოტს, აიძულებენ მის შესრულებას, დაფიქრების საშუალებას კი თავიდანვე უსპობენ, რათა პროგრამას არ ჩამორჩეს. ამასობაში კი გვიანდება ბავშვის მორალური, ზნეობრივი, სულიერი აღზრდა...

როგორც ვხედავთ, პრობლემა ათასია, გადაწყვეტის საშუალებები კი ნაკლები. ალბათ მომწიფდა აუცილებლობა იმისა, რომ ეროვნულ სკოლას მიეცეს სრული დამოუკიდებლობა, რათა „ისე აღზარდოს მან შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება უკან რჩის კვალი განათლებული.

ესაუბრა თამაზ როგავა.

# დროული ღონისძიება

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ მიმაჩნია პირველ საჭირო დოკუმენტად, რომელმაც ჩვენი სამშობლოს ნაგვემ სხეულს ახალი სუნთქვა უნდა მიანიჭოს. სწორედ ამგვარი კანონის არ არსებობაც განაპირობებდა იმ თვითნებობას და უმსგავსოებას, რასაც საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის წყალობით ადგილი ჰქონდა ჩვენს რესპუბლიკაში. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარტო მიწების უკანონოდ დატაცების ფაქტები რად ღირს. აღნიშნული კანონი ამ დელიკატურ სფეროშიც უდაოდ ითამაშებს თავის დადებით როლს. კიდევ მეტიც. მოველოდი, რომ ეს მომენტი უფრო მრავალმხრივ და კატეგორიულად იქნებოდა მითითებული.

იქნებ სჯობდეს 21 მუხლის ფორმულირების შეცვლაც: „პირი დაკარგავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას"—ნაცვლად ჩაიწეროს: „პირს ჩამოერთმევა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა".

ჯ. თელია.

გამოხმაურება

# მართალი ბრძანდებით, ბატონო ტარიელ!

საბჭოთა ერთპარტიულმა სისტემამ ათეული წლების განმავლობაში შეცვალა ქართველი კაცის ფსიქიკა, მისი დამოკიდებულება ზნეობისადმი, შრომისადმი. საქმე იქამდის მივიდა, რომ შინაგანი წესიერება და სიქველე, პრინციპულობა და სიმართლის მოყვარეობა ირონიისა და კილვის საგნად იქცა. არა და, ამ თვისებებით ოდითგანვე ამაყობდა ჩვენებური კაცი. საკუთარი ღირსების გრძნობით შემკული ებრძოდა იგი „წუთისოფლის უკუღმა ტრიალს" და მეტწილად იმარჯვებდა კიდეც.

აღნიშნული მანკიერება, ყოველნაირად წაქეზებული ათასი ჯურის მომხვეჭელების და ბიუროკრატების მიერ, თავისთავად ამკვიდრებდა ჩვენს გაჭახირებულ ყოფაში არამი ლუკმის კულტს. და ბევრი უბედურებაც სწორედ აქედან იღებს სათავეს.

საოცრად მომხვდა გულზე 21 ივნისის გაზეთ „თბილისში" პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილის სტატია სათაურით —„ალალი და არამი ლუკმა". ავტორი მისთვის ჩვეული გულისტკივილით და პუბლიცისტური სიმძაფრით წარმოაჩენს საშიშ ტენდენციას, რომელმაც შესაძლოა ქართველი ხალხი ისევ ტრაგიკულ ჩიხამდე მიიყვანოს. მსჯელობის პათოსი აგებულია ეგრეთწოდებული კოოპერატივებისა და კომერციული მაღაზიების ბუნზე. ავტორს შესანიშნავად მოეხსენება, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ერთადერთი ხსნაა საზოგადოებისათვის, მაგრამ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეკონომიკის ლიბერალიზაცია ბევრმა არასწორად გაიგო და ამ გზაზე ენით უთქმელი სიმახინჯეები და დარღვევებია. „ქართველი ქართველს ტყავს აცლის, ოღონდ მოგება ნახოს. ფეხ-ქვეშ ითელება მორალის ნორმები, ჯანსაღი, მამაპაპური, ცივილიზებული ხალხისთვის დამახასიათებელი კომერციის პრინციპები.

„გასაგები და მისასალმებელი იქნებოდა კოოპერატივებისა და კომერციული მაღაზიების არსებობა, თუ ისინი ხელს შეუწყობდნენ სიუხვეს, ამ გზით საქონლის გაიაფებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. მაშინ მათ ყველა მიესალმებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საკითხი უნდა გადაისინჯოს, თანაც დროულად. ცხოვრება ისე უნდა მოეწყოს, რომ არამი ლუკმის მოპოვების ერთი ფორმა, თუ გზა მეორეთი კი არ შეიცვალოს, არამედ საერთოდ გამოირიცხოს"...

ეცნობი ვრცელი პუბლიკაციის ამ ერთერთ პასაჟს და გინდა ხმამაღლა შეეხმიანო ავტორს: მართალი ბრძანდებით, ბატონო ტარიელ! თავისუფალი საქართველო პატიოსანმა, მონდომებულმა შრომამ, ტრადიციულმა სინდის-ნამუსიანობამ უნდა ააღორძინოს. სხვანაირად ჩვენი ოცნებები და სურვილები ხორცს ვეღარ შეისხამს.

ნ. შელია.

ზოგი რამ ჩვენი წარსულიდან

# „ივერია" სამეგრელოს შესახებ

ქ. ზუგდიდი: ამ წლის „ივერიის" 126 ნომერში ახალ-ამბებში, სხვათა შორის, მოთავსებული იყო ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი ზუგდიდელებისათვის: ოლდენბურგის პრინცს და თავად მინგრელსკის უთხოვნიათ, მიეცეთ ნება თავისის ხარჯით გამოიკვლიონ რკინის გზის გასაყვანი ადგილი, კავკავის რკინის გზის სადგურ პრახლადნაიდგან ზუგდიდისაკენ ფოთამდის. როგორც ამბობენ, ეს ახალი გამოსაკვლევი გზა ხაზინას, შედარებით უკვე გამოკვლეულ გზებთან, იაფად დაუჯდებაო. რამდენად მართალია ეს ხმა, ამას დაგვანახვებს ადგილების გამოკვლევა, რომელიც, უეჭველია, ამ ახლო მომავალში მოხდება; ზუგდიდელებმა დიდი ხანია შეიგნეს რკინის გზის მნიშვნელობა და ამისათვის გაიგეს თუ არა, რომ რუსეთი რკინის გზით კავკასიას უერთდებაო, მაშინვე მიმართეს თავ. მინგრელსკის თხოვნით, რომ მას ეშუამდგომლა უმაღლესის მთავრობის წინაშე ზუგდიდში რკინის გზის გაყვანის თაობაზედ. როგორც სჩანს „ივერიის" 126 ნომრიდგან, თავადს შეუწყნარებია ზუგდიდელების თხოვნა და ოლდენბურგის პრინცთან ერთად შესდგომია ამ საქმის გაძღოლას. თუმცა ამ ზემოყვანილ პირთ „თავის ხარჯით" უკისრიათ ადგილების გამოკვლევა, მაგრამ ზუგდიდელებმა საჭიროდ დაინახეს თავის მხრივ ხარჯის გაღება და ქალაქის მოთავენი მიუხედავად ზოგიერთი პირების წინააღმდეგობისა კიდევაც შეუდგნენ ფულის შეგროვებას.

„ივერია" 1895 წელი, 1 ივლისი № 137

მასალები გაზეთებიდან ამოკრიბა და მოგვაწოდა სულიკო ნეცუბიძემ.

# მეტი ყურადღება სჭირდება

სოფელ ყულიშკარში ულამაზეს ადგილას მდებარეობს ყულის ეკლესია. იგი აშენებულია მე-17 საუკუნეში.

საინტერესო გადმოცემა არსებობს ამ ეკლესიის შესახებ. ამავე ადგილას ყოფილა მცირე სალოცავი, სადაც ესვენა ხატი „ყულის" სახელწოდებით. ეკლესია ხეციების მამულში ყოფილა და მათი საკუთრება იყო.

მე-17 საუკუნეში, თურქთა შემოსევის დროს თავად ხეციას სალოცავთან შეუკრებია ლაშქარი, ლოცვა-ვედრება აღუვლენია უფლისთვის და ყულის ხატისთვის გამარჯვებით დაბრუნება უთხოვია. დაუთქვამს, თუ გამარჯვებული დავბრუნდები, ამ ადგილზე დიდ სალოცავს ავაგებო.

აუსრულებია კიდეც პირობა გამარჯვებულ თავადს. ამ კუთხის სოფლებში ყულის ეკლესია ყველაზე დიდი სალოცავი იყო, აქ თავს იყრიდნენ არა მხოლოდ ახლო-მახლო სოფლებიდან, არამედ სამურზაყანოდანაც კი. იმართებოდა ზეიმები, საეკლესიო დღესასწაულები.

რა მდგომარეობაშია დღეს ყულის ეკლესია?

მისი რეკონსტრუქცია დაუწყია რომელიღაც ორგანიზაციას, მაგრამ ეს საქმე გადახურვით დამთავრებულა. სარკმლებში მინები ჩამტვრეულია, წვიმა აფუჭებს კედლებს, ალესადგენია კედლები.

სალოცავად დადის მრევლი, კვირაობით წირვებიც სრულდება. მრევლს სურდა ეკლესიას სწვეოდა უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, მაგრამ სამანქანო გზის უვარგისობამ ამ სურვილს ფრთები შეაკვეცა.

ასეთი ისტორიის მქონე ტაძარს ყურადღება სჭირდება. იმედია სოფლის მესვეურნი გულთან ახლოს მიიტანენ მორწმუნეთა სატკივარს და იზრუნებენ ეკლესიის კეთილმოწყობისათვის.

ლინარ კვარაცხელია.

საწარმო — სოციალური სფერო!

# სამომავლოდაც ბევრი გვაქვს გასაკეთებელი

ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატში რომ ყველაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი იკრიფება საიდუმლო არ არის. საკუთარ ძალებში დარწმუნებულებს სწამთ, რომ დღევანდელ მოთხოვნათა გათვალისწინებით დროულად აიღებენ ნედლეულს. მათ არ სჭირდებათ გაფრთხილებები, ხარისხისა და დისციპლინის დაცვაზე. ახლა ყველა თავის თავს აკონტროლებს. ცვლილებებია სამეურნეო დარგშიც. საშენ მასალათა საშინელი დეფიციტის პირობებშიც მშენებლები ჯერ არ მოცდენილან. კომბინატის მოსახლეობა ცხოვრობს 25 საცხოვრებელ სახლში. ინგირელთა სამსახურშია ცენტრალური გათბობა, 2 ქაბური, რომელიც სასმელ წყალს აწვდის მოსახლეობას. ერთი წლის წინ მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს 12 ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ასე რომ ბინის პრობლემა ჩვენთან მოხსნილია. დაწყებულია ცენტრალური კანალიზაციის სამუშაოები. გათვალისწინებული 5 საცხოვრებელი სახლიდან ორი გადაცემულია საექსპლოატაციოდ. კომბინატი აშენებს სპეციალურ ნაგებობას ნაყინისა და გამაგრილებელი წყლებისათვის, დაწყებულია მუშათა სასადილოს მშენებლობა, რაც მთავარია დამთავრდა მეურნეობის ტერიტორიის ასფალტირება, რამაც კმაყოფილება გამოიწვია.

მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის ფუნქციონირებს საშუალო სკოლა, რომლის დირექტორია ანზორ გვაჯაია. ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს სკოლის კაპიტალურად შეკეთება. ბაგა-ბაღში, რომელიც ერთდროულად ემსახურება 140 ბავშვს, მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი. ნორჩები 1 სექტემბერს შევლენ განახლებულ ბაგა-ბაღში (გამგე ნინელი შულაია), დროებით მათ სხვაგან დაიდეს ბინა, ცოტა გაიჭირვეს, მაგრამ დამამთავრებელი ჯგუფის ზეიმმა, რომელიც ამასწინათ კლუბში მოეწყო, ცხადყო რომ აღმზრდელ-მასწავლებლებს დიდი შრომა დაუხარჯავთ. ნორჩმა აღსაზრდელებმა მომზადების მაღალი დონე გამოავლინეს.

ჩვენი ბიბლიოთეკა (გამგე ინეზა ქვარცხავა) საჩვენო [illegible] რაიონში. სულ უფრო იზრდება წიგნადი ფონდი და მან 7000 ცალს გადააჭარბა.

კეთილმოწყობილია სასტუმრო, რომელიც დეკორატიულ ბაღშია ჩაფლული.

ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება გასტროენტოლოგიური საავადმყოფო, სადაც ნორმალური პირობებია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით პოლიკლინიკაზე და აფთიაქზე, რომლებიც დღემდე შეუფერებელ ბინებში არიან „შეხიზნულნი".

მუშათა არსებული ნანადილო და მოსახლეობა მარაგდება დამხმარე მეურნეობაში მოყვანილი ბოსტნეულით, მეცხოველეობის პროდუქტებით. პენსიონერებსა და ჩვილ ბავშვებს ყოველდღიურად უფასოდ ეძლევათ თითო ლიტრი რძე. მექანიზატორებისა და მუშების ერთჯერადი კვება უფასოა.

კომბინატის კოლექტივის დღის წესრიგშია მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა, მათი სოციალური პირობების ამაღლება.

ჟ. აკობია,

ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში.

რა ხდება ჩვენს გზებზე

# ეს საერთო გასაჭირია

ჩვენს ამ აწეწილ დროში ტრანსპორტი მართლაც რომ დამატებითი ნერვიულობისა და შფოთვის საგანი გახდა. დღე ისე არ გავა, გულის შემძვრელი ფაქტები არ გაიგონო. და ამ უსიამოვნებათა ჭრელ მოზაიკაზე მეტწილად ავტომობილი ფიგურირებს.

ვერ იტყვი იმას, რომ ჩვენს გზებსა და გზაჯვარედინებზე დატრიალებული უბედურებების აღსაკვეთად შესაბამისი სამსახურები ზომებს არ ატარებდნენ, გულგრილნი იყვნენ. ამ დღეებში ადგილობრივი გაზეთი გვაუწყებდა ტრანსპორტის მოძრაობის სფეროში წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების თაობაზე პრეფექტურაში გამართული საგანგებო თათბირის შესახებ, მაგრამ რეალური შედეგები იგვიანებს. ისევ საშიშროებით დამუხტული გზები, საგზაო შემთხვევები, მსხვერპლი, ძაძები...

როგორც ჩანს, გატარებული ღონისძიებები საკმარისი არ არის. მოსაფიქრებელია [illegible] არაორდინალური ღონისძიებები და სანქციები, რომლებიც ამ მხრივ წარმართულ მუშაობას მეტ სიმწვავეს და მასშტაბს მიანიჭებს.

რომელი ჩვენთაგანი არ ყოფილა მოწმე სინდის-ნამუსთან მწყრალად მყოფი მძღოლის თვითნებობისა. კაცი, რომელიც ღვინით გაილეშება და საჭეს მიუჯდება, დასანდობი დიახაც არ არის. გვეყოს ამისთანების მიმართ ლოიალობა. ისინი ამას არ იმსახურებენ. საჭიროა კანონის გამკაცრება მათ მიმართ.

ერთერთ აულაგმავ მოვლენად დღემდე რჩება არასრულწლოვანებზე ავტომანქანის საჭის გადაცემა. მათ მიერ გაჭირითებულ მანქანებს არაერთი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა.

ამასწინათ თავის ერთერთ ინტერვიუში საქართველოს სახავტოინსპექციის სამმართველოს უფროსმა ვალიკო როგავამ ყურადღება გაამახვილა მოქალაქეთა მართლშეგნების ამაღლების საჭიროებაზე. იქვე მიანიშნა, რომ ამ მიმართულებით ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერაა საჭირო. ამავე პუბლიკაციიდან ვგებულობთ, რომ მზადდება ახალი კანონმდებლობის პროექტი საგზაო წესების დარღვევებისათვის. იმედისმომცემია ის, რომ ეს დოკუმენტი უკვე მიღებულ იქნა.

ასეა, თუ ისეა, გათავხედებული მძღოლის პრობლემა თუ არ მოიხსნა, ძალიან გაგვიჭირდება.

მ. ბუცხრიკიძე,

სვანეთის ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ზუგდიდის რაისაბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა რაიონში მ. კოსტავას სახელობის მეგრული ჯიშის ცხენსაშენის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

# ცხენსაშენს დახმარება სჭირდება

აღინიშნა, რომ რაიონში საგრძნობლად შემცირდა მეგრული ჯიშის ცხენების სულადობა. სამწუხაროდ, არ ფუნქციონირებს ჯგუფები ცხენბურთში, ისინდში, მორქიაში, ყაბახსა და სხვა სახეობებში, რამაც განაპირობა რესპუბლიკურ სპარტაკიადებსა და პირველობებში ჩვენი წარუმატებლობა, საკითხის დადებითად გადაჭრისათვის კი არავინ ზრუნავდა.

ამ ნაკლოვანებათა გათვალისწინებით ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის განკარგულებით ერგეტის ტერიტორიაზე გაიხსნა მ. კოსტავას სახელობის მეგრული ჯიშის ცხენსაშენი. მისი მიზანია ცხენის სულადობის გაზრდასთან ჩვენი წინაპრების ტრადიციების აღდგენა-განვითარება ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში.

ცხენსაშენისათვის გამოყოფილია ენგურჰესის მშენებლობის ჰიდროსპეცმშენის 16 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი, რომელიც უნდა გადიდდეს მომიჯნავე ფართობების ხარჯზე. პრეზიდიუმმა მიწის ფართობების დამუშავებისა და დანადგარ-მოწყობილობის ასაშენებლად დაამტკიცა დროებითი საშტატო ერთეული.

ახლადშექმნილ ცხენსაშენს დახმარება სჭირდება. საჭიროა რაიონისა და ქალაქის წარმოება-დაწესებულებებმა, საკრებულოებმა შესაძლებლობისამებრ სესხის სახით ცხენსაშენს ჩაურიცხონ თანხა, რომელიც დაუბრუნდებათ ცხენების მომრავლებისთანავე; საკრებულოებს კი გაწვრთნილი ცხენები.

ვიმედოვნებთ, რომ წარმოება-დაწესებულებები, საკრებულოები გულთან მიიტანენ ამ საკითხს და ყოველმხრივ მხარდაჭერას გაუწევენ ცხენსაშენს, რათა ახლო მომავალში გვქონდეს საშუალება შეირჩეს მხედრები და ცხენები, დაკომპლექტდეს ნაკრები გუნდები, რომლებიც დაიცავენ ჩვენი ქალაქისა და რაიონის სპორტულ ღირსებას.

ჯ. სხულუხია,

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

რ. ჯიქია,

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" კომპლექსური სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

იურიდიული კონსულტაცია

# სააღსრულებო წარწერა

სააღსრულებო წარწერის საშუალებით უდავო დავალიანებების ამოღებების წესი წარმოადგენს დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებში სახელშეკრულებო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელოვან ბერკეტს, რომელიც საშუალებას იძლევა ოპერატიულად ანაზღაურდეს არაკეთილსინდისიერი გადამხდელის მიერ მიყენებული ზარალი.

ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის პირობებში ნოტარიატის საქმიანობის ამ მიმართულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რამდენადაც მიმართულია სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა კანონიერების განსამტკიცებლად და სამეურნეო ბრუნვაში აქცევს მნიშვნელოვან ფულად სახსრებს.

სააღსრულებო წარწერების შესრულებისას გადამხდევინებელი ვალდებულია წარადგინოს გარკვეული საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ დავალიანების ფაქტს და დადგენილ ვადაში მოვალის მიერ თავისი ხელშეკრულებით ან კანონმდებლობის სხვა წესით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობას. ამიტომ ნოტარიუსს უფლება არა აქვს უარი თქვას სააღმსრულებო წარწერის გაცემაზე, თუნდაც მოვალემ სანოტარო კანტორას წერილობით წარუდგინოს უარი წარდგენილი დავალიანების თანხების ან ჯარიმის წინააღმდეგ. გამონაკლისს წარმოადგენს ბინის ქირის დავალიანება, რომლის თანხაც შეიძლება მოვალის მიერ გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოს წესით.

სანოტარო კანტორები ვადაგადაცილებულ დავალიანებათა გადასახდევინებლად სააღსრულებო წარწერებს ასრულებენ საკრედიტო ორგანიზაციათა სასარგებლო-საკრედიტო ოპერაციების ყველა სახეობაზე, რადგანაც ნუსხა მათი სახეების არავითარ შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

კრედიტის დროულად დაფარვის უზრუნველსაყოფად სესხის გაცემა ინდივიდუალურ მევალეებზე უნდა მოხდეს შრომისუნარიანი მოქალაქის თავდებით, თავდებობის ხელშეკრულებას ადასტურებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები.

სამხედრო მოსამსახურეების მიერ მიყენებული ზარალის ამოსაღებად სააღსრულებო წარწერას ნოტარიუსი ასრულებს მხოლოდ ამოსაღებ დავალიანებათა თანხის აღმნიშვნელი ცნობით. ნოტარიუსს უფლება არა აქვს გამოითხოვოს წარმოდგენილი ცნობის განმარტება.

სააღსრულებო წარწერას ნოტარიუსი ასრულებს, თუ სარჩელის წარმოშობის დღიდან გასულია არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის ურთიერთობის გამო არა უმეტეს ერთი წლისა.

ნოტარიუსის მიერ შესრულებული სააღსრულებო წარწერა წარედგინება სახალხო სასამართლოს აღსრულებისათვის— იძულებითი წესით დავალიანების ამოსაღებად.

მიმართეთ სახელმწიფო სანოტარო კანტორებს სააღსრულებო წარწერების შესასრულებლად, კრედიტორებს გაეწევა იურიდიული დახმარება.

ნ. ქვარცხავა,

ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი.

# ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია

ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ზუგდიდის ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია, საინიციატივო ჯგუფის ანგარიშით წარსდგა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჯახია.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის საქმიანობაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრეს ასოციაციის პრეზიდენტმა მ. ჰკუასელმა და ვიცე-პრეზიდენტმა თ. ჯგუშიამ.

კონფერენციას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი თ. ფორფოლიანი.

კონფერენციამ აირჩია მმართველი კომიტეტი 5 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჯახია, პრესმდივნად — ნ. ჭაჭუა, წევრებად — თ. ჯგუშია, ბ. დარასელია და თ. ჭაფარიძე.

ხსოვნა

# წრფელი ცრემლები

იგი არასოდეს უნახავთ წარბშეკრული, მოღუშული, მუდამ იღიმებოდა, გაჭირვების დროს ყველას ეხმარებოდა, ლხინშიც ტოლ-მეგობრებს ედგა მხარში.

33 წელი იცოცხლა ამქვეყნად ოთარ ჩილაჩავამ. სიცოცხლის ამ ხანმოკლე დროის მანძილზე იმდენი სიკეთე, სიყვარული დათესა; რომ ბევრს შეშურდებოდა.

მაგრამ, ვაი, რომ ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა ამ ესანიშნავი ახალგაზრდის სიცოცხლე.

ზუგდიდის №1 ავტოსატრანსპორტო საწარმოში მუშაობდა მძღოლად. იმ დღეს მეზობელი სვანებისათვის პროდუქტები მიჰქონდა. ვინ მოთვლის რამდენჯერ გაუვლია იმ გზაზე მშვიდად, უავარიოდ, მაგრამ არავინ უწყის რა მოხდა იმ ავბედით დღეს. საშინელი ნისლი იყო... და თან ისეთი სიმაღლიდან გადმოვარდა თავისი მანქანით, რომ მთამსვლელმა სვანებმა უდიდესი გაჭირვებით ამოიტანეს მიცვალებული და მათთან ერთად მანქანაში მსხდომი მგზავრები წალენჯიხის რაიონიდან, მამა-შვილი შელიები....

საქართველოში მიცვალებულის პატივისცემით დღეს ვერავის გააკვირვებ. მაგრამ რაც მე ვნახე, ალბათ არავინ დამიჯერებს. ამის უშუალო მონაწილე თავად უნდა ყოფილიყავით. მაინც რა მოხდა ასეთი განსაცვიფრებელიო, იკითხვათ სრულიად სამართლიანად.

დაკრძალვის მეორე დღეს სამსახურის მეგობრებმა, თანაკლასელებმა ოთარ ჩილაჩავას საფლავთან გაუთენეს. სხვების არ ვიცი, პირადად მე ასეთი შემთხვევა საერთოდ არ მსმენია. მთელი ორი ღამის განმავლობაში ოთარის საფლავთან ისმოდა მუსიკა, მისი შესანდობარი ითქმებოდა ისე, თითქოს იგი ცოცხალი ყოფილიყო და თვითონ მისი ქორწილი იყო.

ამბობენ, კარგი ადამიანის გარდაცვალებას ბუნებაც კი ტირისო. ოთარის ნეშტის დაკრძალვამდე წარმოუდგენელი კოკისპირული წვიმა მოვიდა, მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია ადგილიდან დაძრულიყო.

ოთართან ერთად იმ ტრაგიკულმა შემთხვევამ წალენჯიხელი 42 და 17 წლის მამა-შვილის შელიების სიცოცხლეც შეიწირა.

დამერწმუნეთ, ერთი ოჯახისათვის ძალიან მძიმეა ასეთი ტრაგედია. მაგრამ ამ გაჭირვების ჟამს ისეთი უდიდესი სულგრძელობა, ადამიანობა გამოიჩინეს, რომ ბევრი ალბათ ვერც წარმოიდგენს და სამაგალითოც უნდა იყოს სხვებისთვის. ოთარის დაკრძალვის დღეს შელიების ოჯახმა მიუსამძიმრა ჩილაჩავების ოჯახს, ჩილაჩავებმაც ასევე გაიზიარეს მათი უმძიმესი დანაკლისი.

ზუგდიდმა წრფელი ცრემლებით გააცილა თავისი შვილი.

თეიმურაზ მორგოშია.

---

**ზუგდიდელ ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!**

პირველად ჩვენს ქალაქში კოოპერატივი „იღბალი" 7 ივლისს კვირას (შემდგომ ყოველ კვირა დღეს) აწყობს შეჯიბრებას მოკლე ნარდში.

პასპორტით რეგისტრაცია და დაწვრილებითი ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 9-დან 14 საათამდე.

შეჯიბრებაში გამარჯვებული პრიზის სახით მიიღებს 10000 (ათიათას) მანეთს.

მონაწილეთათვის შესატანი თანხა 500 მანეთია.

იჩქარეთ, მონაწილეთა რაოდენობა ფრიად შეზღუდულია.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, მოსკოვის ქ. №6. ტრესტ №12-ის სპორტკომპლექსი.

კოოპერატივის გამგეობა.

---

მიმდინარე წლის 19, 20, 21 ივლისს; საქართველოს ეროვნული სპორტისა და თამაშობების გაერთიანება „იმედის" სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი, ქ. ზუგდიდის ცენტრალურ სკვერში, ატარებს ზუგდიდის ჩემპიონატს ნარდში. მონაწილეობენ: ზუგდიდის რაიონისა და ქალაქის წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, მეურნეობებისა და კოოპერატივების წარმომადგენლები. დასაწყისი: დილის 11 00 საათზე.

საორგანიზაციო კომიტეტი.

---

ენერგოზედამხედველობის ფოთის სარაიონთაშორისო განყოფილება შეახსენებს იმ კოოპერატივებს და მცირე წარმოებებს, რომლებიც სარგებლობენ სამფაზა დენით, რომ აუცილებელია სათანადო ნებართვის მიღება „საქენერგოს" ენერგოზედამხედველობიდან, მისამართით: თბილისი, რუსის ქუჩა №1. სამფაზა ელდენის მომხმარებლები, რომელთაც არ გააჩნიათ ასეთი ნებართვა ექვემდებარებიან ქსელიდან გამორთვას ნებართვის მიღებამდე.

---

ალექსანდრე ბულია გაწეული სასწრაფო სამედიცინო მომსახურებისათვის მადლობას უხდის საცხენოსნო სპორტ-კომპლექსის მედდას თინა ფაცაციას და უსურვებს ბედნიერებას, დიდ სიხარულს.

---

ოლია მოსია უანგარო მომსახურებისათვის მადლობას უხდის №1 აფთიაქის თანამშრომელს იზოლდა აბრალავას, უსურვებს ულევ სიხარულს, ბედნიერებას.

---

ნინა მალანია შვილებით: ნოდარი, ნიურა, ნანული. სოსო, ლეილა. ფრიდონი, ვიტალი ოჯახებით იუწყებიან ღეიდაშვილის

**დავითი (ჟორჟი) მიხეილის ძე ჭიჭონაიას**

გარდაცვალებას.

---

ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ფაბრიკის დირექტორს ტარიელ ქანთარიას მამის **ბოჩიას** გარდაცვალების გამო.

---

ამირან, ნანა და ოთარ აბრამიები ოჯახებით იუწყებიან

**ბოჩია ვლადიმერის ძე ქანთარიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დაფნის კომბინატის კოლექტივი თანაუგრძნობს დინარა და პეტია ქირიებს დედის

**დავარი რაჟდენის ასულ ჭკადუა-ქირიას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ძუკა, შვილები: გულნაზი. ნუგზარი, დები: ლევე, ევდოსია, ძმები: პლატონი, ვახტანგი. შოთა, კოტე თოდუები, შვილიშვილები: ელისო. მიხეილ, ზვიადი, გოგა, უჩანა, რძლები: ლელა. ნორა, ლილი. ბროლისა. ფაუსტი. თალიკო, სვეტა, სიძეები: გვანჯი კვარაცხელია, ნიკიფო ლემონჯავა, მძახლები: ნუცა, ბონდო ანთიები, ბიძები: ერასტო სოსელია, ამროზი ჯანაშია, ძმისშვილები: ომარი, ცოტნე. ზეზე, მურმანი, ვალერი. რევაზი, ანია, თამაზი. მარინა, შარდენი. ბექანა. ნატო. იამზე. მამუკა, ნინო თოდუები, დისშვილები: ხუნტული. ბონდო. ნელიკო, ნაზო, გულვერი ლემონჯავები, არნო. მარდონი წურწუმიები. გულადი. გურიელი, ჩაგუ, მელორი კვარაცხელიები იუწყებიან

**აზნიცა (ეთერი) ერასტოს ასულ თოდუა-ჯანაშიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 6 ივლისს. დაკრძალვა 7 ივლისს რუხში.

---

მეუღლე თამარა, შვილები მიმოზა. რუზგენი, გენადი. და ნინა. შვილიშვილები: იანა. კოსტა. რძლები: ლუბა, ლუნა. თამარა, გული, თამარა, ჟუჟუნა, სიძე ჭიჭიკო ელიავა, ძმისშვილები: რაფიელი. ოდიკო. რუბი. დისშვილები: მიშიკო, ვარო, თალიკო ხარჩილავები, კუკური. ანზორი თოდუები, ცისანა. რამაზი. რუსიკო. ჟანა ელიავები, მაზლიშვილები: ნოდარი. ჯანიკო. ფრიდონი. ეთერი. დინარა. მერიკო ხუბუტიები. მულიშვილი თამაზ ხუნწარია, ბიძაშვილები: კლიმენტი. ლულუნი, ინდიკო. ჟენია. პარაჟურა. დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

**გერმანე კოსტას ძე ხარებავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4. 5 ივლისს. დაკრძალვა 6 ივლისს ახალაბასთუმანში.

---

დაფნის კომბინატის კოლექტივი თანაუგრძნობს ჯულიეტა კორკელიას ძმის

**გივი ისაკის ძე კორკელიას**

გარდაცვალების გამო.

---

# გამოსათხოვარი

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი მოქანდაკე ვახტანგ ანტონის ძე ალანია.

იგი დაიბადა 1921 წელს აგრონომის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. დემობილიზებული მოსკოვში ეუფლება მოქანდაკის ხელოვნებას. მონაწილეობდა მეტროსადგურების გაფორმებაში. მის მიერ გამოძერწილი არქიტექტურული დეტალები გამოირჩეოდა ქართული ოვალის სინატიფით.

წლების მანძილზე მუშაობდა ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. ვინ მოსთვლის რამდენი ძეგლი აუგია მარმარილოსგან [illegible] დასულთათვის. ქალაქის არა ერთი ნაგებობის ლავგარდნებს და აივანს ამშვენებს მის მიერ ჩამოსხმული ორნამენტები.

კაცს—ხელოვანს სულიც მშვენიერი და კეთილი ჰქონდა. დასანანია მისი არყოფნა. ხსოვნა ხელოვანისა დიდხანს შემორჩება კოლეგებს, მეგობრებს, ამხანაგებს.

ამხანაგების ჯგუფი.

---

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

---

შვილები: ნუგზარი. ვახტანგი. დები: ლამარა. ბაბუცა. ლიზა. დოდო. რძლები: ქეთინო ზარანდია. ნაირა ხვიტია. ციალა ჯობავა. თინა შაკაია. შვილიშვილები: ლიკა, მიშიკო, სალომე. მაკა. ეკა, სიძეები ჟორჟი სალია, ოთარ ქადარია, დისშვილები: თემური. თამაზი. დათო კაკულიები. თენგიზ ქარდავა. გოჩა. ნანა სალიები. ბიცოლა ნორა. ბიძა ეპია მოსია. ცოლისძმები: ოთარი, ზაური ჭანიები. მზახლები: მიხეილ ზარანდია. კოტე ხვიტია, დეიდაშვილები: ხუტა. მიშიკო. ინდიკო. სულიკო გუგუჩიები. ჟორა სიჭინავა. მამიდაშვილები: შურა, პალიკო. გივი კვარაცხელიები. ბიძაშვილები: ჩინიკო. ლამარა. ნათელა. ბიჭიკო. ბონდო. გივი. შოთა. გურიელი. ლოლუნი მოსიები. ლიდა. არიადნა კიტიები ოჯახებით იუწყებიან

**გვანჯი (ლუკი) იროდის ძე კიტიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5. 6 ივლისს. დაკრძალვა 7 ივლისს. გამოსვენება თავისუფლების ქ. 176-დან.

---

შვილები: ედემი. იზოლდა. მურთაზი. დედამთილი მანია. ძმები: ინდიკო. კარლო გოგოხიები. და ნურა. სიძეები თენგიზ არჩვაძე. ლოლუნი გვასალია. შვილიშვილები: ირაკლი. მაკა, მარიკა. რძლები: ნიურა, ეთერი, ნანი, მაზლი აპოლონ თოდუა, მული თალიკო. ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**მარგო ელიზბარის ასულ თოდუა-გოგოხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5. 6 ივლისს, დაკრძალვა 7 ივლისს სოფ. რუხში.

---

დედა თამარა. და თამილი. ძმები: ომია ალთამირი. რძლები: დინა. ლიდა. ძმისშვილები: ილონა. ლიანა. ვიალეტა. ვახტანგი. ალიოშა. მამიდა ფუფა. სიძე რობიკო ფარულავა. დეიდა რიმა გაბრავა. ბიძაშვილები: გენადი. ბოჩია თოდუები. თინა. ჟორჟი ლომაიები. მამიდაშვილი რეზო გუნავა. დეიდაშვილები: ჭიჭიკო. ჟუჟუნა გაბრავები, ილია გაბუნია ოჯახებით და ახლო ნათესავები იუწყებიან

**რევაზი (რამაზი) ალიოშას ძე თოდუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 ივლისს. დაკრძალვა 6 ივლისს სოფ. რუხში.

---

შვილები: იზოლდა, თემური, ძმა მამია იზორია. რძლები: იამზე დარსანია, ვალია იზორია, სიძე ვაჟა კურტანიძე, შვილიშვილები: თამრიკო. ლევანი. ვარლამი, ძმისშვილები: ბიქტორი, საშა, ვოვა იზორიები, მულები: ციბა, ზინა, თოდუები, ბიძაშვილები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნორა ბიქტორის ასულ იზორია-თოდუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4. 5 ივლისს. დაკრძალვა 6 ივლისს ქ. ზუგდიდი, გამარჯვების 82.

---

შვილები: ნანა, მალხაზი. გიორგი. და ნათელა. რძლები ლალა ჩიქოვანი, მაყვალა დორეული. ამალია ღვინჯილია, ნათელა ჩომახია, სიძეები ავთანდილ ცქირია. ჟორა ფელანგია, მზახალი შურა მარკოზია, ცოლისძმები: ფუხული, კოლია გვილიები, ცოლისდა ვერა, ქვისლი ჭიჭიკო დარასელია, შვილიშვილები: რაფიელი. ირაკლი ცქირიები. ჯაბა, გიორგი ჯალაღონიები. დისშვილები: ნონა, თენგო, თემური ფელანგიები, ძმისშვილები: მარინე, ნუგზარი ჯალაღონიები, ბიძაშვილები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები. უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**რამიკო (სალა) ძუკუს ძე ჯალაღონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 ივლისს. დაკრძალვა 6 ივლისს. გამოსვენება 18 საათზე, ზუგდიდი, ანთიმოზ როგავას ქ. 7-დან.

---

შვილი ზაირა ხაჟომია, ძმისშვილი ვალოდია ხურცილავა, მაზლიშვილები: იურა. ლიანა. კოტე. ნონა. ზურაბი. თორნიკე ხაჟომიები ოჯახებით და ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ანეტა დიმიტრის ასულ ხურცილავა-ხაჟომიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5. 6 ივლისს. დაკრძალვა 7 ივლისს ქ. ზუგდიდი. გამოსვენება სოხუმის ქ. 25-დან 17 საათზე.

---

ზუგდიდის ლუდის დამმუშავებელი საწარმოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

**გივი ისაკის ძე კორკელიას**

გარდაცვალე[illegible]ს და თანაუგრძნობენ განსვე[illegible]ულის ოჯახს.

---

№13 საბავშვო ბაღის თანამშრომლები და აღსაზრდელთა მშობლები თანაუგრძნობენ გეა დიმიტრის ასულ თოლორაიას მეუღლის

**საშა (ალექსანდრე) ევგენის ძე კუტალიას**

გარდაცვალების გამო.

---

რესპუბლიკური სამედიცინო სადიაგნოსტიკო ცენტრის ზუგდიდის ფილიალის თანამშრომლები იუწყებიან ირინა სიჭინავას მამის

**კაკოს**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის ჩაის კომბინატ „ოდიშის" კოლექტივი თანაუგრძნობს რუსუდან ნორაკიძეს მეუღლის

**ბოჩია ალანიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მზია და ვასო ნოზაძეები შვილი თემურით იუწყებიან მზახლის

**მურმან პროფის ძე ნარუშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ინგირის რკინიგზის სადგურის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის

**მურმან (მური) პროფის ძე ნარუშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78. მშრომელთა წერილების 2-25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23 07, ტირაჟი 8000 შეკ. №2727